საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2568 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო სერვიტუტის უფლების დადგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, უსასყიდლო სერვიტუტის უფლება დაუდგინოს ამ განკარგულების დანართში მითითებულ უძრავ ნივთებზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთების უსასყიდლო სერვიტუტის უფლების დადგენის პირობად განისაზღვროს:

ა) სერვიტუტის საგნის გაზსადენის მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გამოყენება;

ბ) სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას“ შორის 2015 წლის 21

სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

				დანართი
№	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
1	02.01.01.803	ქალაქი რუსთავი	სასოფლო-სამეურნეო	336
2	81.04.18.004	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, კრწანისი	სასოფლო-სამეურნეო	538
3	81.04.14.357	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, კრწანისი	არასასოფლო-სამეურნეო	327